საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ანა ლორია - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: გ. დ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი: ადვოკატი ნ. ო. /სიითი N/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 10.05.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 059/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. ჟ.-ს მიმართ/ სიითი №5196/ სპეციალიზაცია -საერთო.

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ მ. ჟ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2019 წლის 10 მაისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა გ. დ.-მა და მოითხოვა ადვოკატ მ. ჟ.-სთვის დისციპლინურიპასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 გ. დ.-ს 2019 წლის 07 მარტს მიენიჭა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი. ამავე წლის 12 მარტს საჩივრის ავტორმა იურიდიული კონსულტაციის მიღების მიზნით, მიმართა ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისულ ცენტრს. საჩივრის ავტორს ცენტრში მისვლისას შეხვდა აღნიშნული ორგანიზაციის იურისტი მ. ჟ.. საჩივრისავტორის განცხადებით, ის არ ეთანხმება ადვოკატის პოზიციას იმის თაობაზე, რომ თითქოს ისკრიზისულ ცენტრში შეხვედრისას იცნო, რადგანაც მანამდე ნანახი ჰყავდა საოჯახო დავიდან გამომდინარე, როგორც მისი ყოფილი მეუღლის წარმომადგენელი.

1.3 შეხვედრისას, გ. დ.-მა ადვოკატს განუცხადა, რომ მას ჰქონდა მსხვერპლის სტატუსი, აგრეთვე, მის ყოფილ მეუღლესაც. ადვოკატმა მ. ჟ.-მ ჩაიბარა გ. დ.-ს მიერ გადაცემული მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი და ოთახიდან გავიდა. შემდგომ დაბრუნდა და განუცხადა, რომ იმ მომენტისათვის ის ვერ შეძლებდა მასთან გასაუბრებას და შეხვედრაზე 19 მარტს დაიბარა.

1.4 იმავე წლის 19 მარტს მეორე ვიზიტი შედგა გ. დ.-სა და ადვოკატ მ. ჟ.-ს შორის. ადვოკატმა ორგანიზაციის ჟურნალში ასახა კონსულტაციის გაცემის შესახებ ინფორმაცია, რასაც გ. დ.-მა ხელი მოაწერა. მათ შორის საუბარი გაგრძელდა დაახლოებით ორი საათი. საჩივრის ავტორის განმარტებით, აღნიშნული შეხვედრისას, გ. დ.-მა ადვოკატს გადასცა მის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაცია - ფსიქოლოგის დასკვნა, სოციალურ მუშაკთა დასკვნები.

1.5 ამ შეხვედრის დროს, საჩივრის ავტორი ადვოკატს ესაუბრა ყოფილ მეუღლესთან დავის თაობაზე, რომ ის იყო „ცრუ ბრალდების ქვეშ“, შვილთან ურთიერთობის საკითხზე და მის მიმართ ძალადობის ფაქტზე. მ. ჟ.-მ გ. დ.-ს უთხრა, რომ „გვერდში დაუდგებოდა“, გაეცნობოდა მის მიერ გადაცემულ დოკუმენტებს, ურჩია სოციალური მუშაკებისთვის მიემართა, ძალადობის არსებობის შემთხვევაში - პოლიციისთვის. ადვოკატი საჩივრის ავტორს დაჰპირდა რომ დაუკავშირდებოდა, რადგანაც მას ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი ჰქონდა და მათი ორგანიზაცია ვალდებული იყო დახმარებოდა. აღნიშნული შეხვედრის შემდგომ, ადვოკატი მ. ჟ. საჩივრის ავტორს არ დაკავშირებია.

1.6 2019 წლის 02 მაისს, თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე, ადვოკატი მ. ჟ. გამოცხადდა გ. დ.-ს მოწინააღმდეგე მხარის - ე. ხ.-ს ინტერესების დამცველად იმავე საკითხზე, რის თაობაზეც გ. დ. კრიზისულ ცენტრში მისვლისას გაესაუბრა ადვოკატ მ. ჟ.-ს.

1.7 საჩივრის ავტორის განცხადებით, ის არ ეთანხმება ადვოკატის პოზიციას იმის თაობაზე, რომ მისი შვილისთვის გაწეული ფსიქოლოგიური მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით მიაკითხა კრიზისულ ცენტრს. საჩივრის ავტორმა განამრტა, რომ მას, როგორც მსხვერპლის სტატუსის მქონე პირს, სურდა იურიდიული კონსულტაციის მიღება.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატ მ. ჟ.-ს განმარტებით, ის წარმოადგენს სსიპ - ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდისსტრუქტურული ერთეულის - თბილისის ძალადობის მსხვერპლთა მომსახურების კრიზისული

ცენტრის იურისტს (შემდგომში კრიზისული ცენტრი). ცენტრის შინაგანაწესის შესაბამისად, სხვა მოვალეობებთან ერთად, ადვოკატის ფუნქციაში შედის კრიზისული ცენტრის ბენეფიციარების წარმომადგენლობა/ადვოკატირება სასამართლო/სამართალდამცავ ორგანოებში და განმცხადებლის/მომმართველის - სამართლებრივი კონსულტაცია ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატ მ. ჟ.-ს განმარტებით, გ. დ.-ს ყოფილ მეუღლეს - ე. ხ.-ს 2017წლის 05 ივლისიდან აქვს ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსი და 2018 წლის 27 ივლისიდან არის კრიზისული ცენტრის ბენეფიციარი. ამავე წლის 28 სექტემბრიდან ე. ხ.-ს მიერ ადვოკატზე გაცემულია მინდობილობა და ის, კრიზისულ ცენტრში, არასრულწლოვან შვილთან ერთად იღებს იურიდიულ მომსახურებას, რაც სასამართლოში წარმომადგენლობასაც მოიცავს.შესაბამისად, მ. ჟ. უშუალოდ უწევდა იურიდიულ მომსახურებას ე. ხ.-ს.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ე. ხ.-ს აგრეთვე აქვს დაზარალებულის სტატუსი გ. დ.-ს მიერ მის მიმართ განხორციელებული ფიზიკური ძალადობის ფაქტის საფუძველზე. ე. ხ.-ს 2018წლის 27 აგვისტოს ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე დაუდგინდა გ. დ.-ს მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური ძალადობის ფაქტი.

2.4 2018 წლის 24 სექტემბერს გ. დ.-მა მიმართა პოლიციას, რის საფუძველზეც ე. ხ.-ს მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი. ადვოკატ მ. ჟ.-ს განცხადებით, მან შეცდომაში შეიყვანა გამომძიებელი და ე. ხ. მოძალადედ იქნა მიჩნეული. ადვოკატ მ. ჟ.-ს, როგორც ე. ხ.-ს წარმომადგენლის ჩართულობით სასამართლომ გააუქმა ე. ხ.-ს მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერი.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2019 წლის 12 მარტს გ. დ.-მა მიმართა კრიზისულ ცენტრს. აღნიშნულ დღეს ადვოკატი მ. ჟ., როგორც ცენტრის იურისტი შეხვდა გ. დ.-ს. ადვოკატის განცხადებით, მან გ. დ. იცნო, რადგანაც მანამდე, საქმესთან დაკავშირებით არსებულ პროცესებზე ხშირად შეხვედრილან ერთმანეთს. შესაბამისად, ადვოკატის განმარტებით,შეუძლებელია საჩივრის ავტორსაც არ ეცნო ის. ადვოკატს გ. დ.-სთვის არ განუცხადებია და არც მიუნიშნებია რაიმე სახით, რომ ის ე. ხ.-ს დამცველი იყო, რადგანაც პერსონალურ ინფორმაციას ვერ გასცემდა.

2.6 ადვოკატის განცხადებით, გიგი დავითაშვილთან შეხვედრისას, საფრთხე იმისა, რომ მისგან საქმესთან დაკავშირებით რაიმე ინფორმაციას მიიღებდა არ არსებობდა, რადგან მას „ბავშვზე ჰქონდა აქცენტი, დედა ძალადობს თუ მამა ძალადობს - ეს იყო მათი დავა“.

2.7 ადვოკატის განცხადებით, გ. დ.-ს მისთვის საქმესთან დაკავშირებით რაიმე სახის დოკუმენტი არ გადაუცია. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა განმარტა, რომ შეხვედრაზე, გ. დ.-მა წარუდგინა ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ მინიჭებული მსხვერპლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის საფუძველზეც მას სურდა იურიდიული მომსახურების მიღება.

2.8 კრიზისულ ცენტრში პირველი შეხვედრისას ადვოკატმა მ. ჟ.მ საჩივრის ავტორს განუმარტა, რომ სხვა დღეს მისულიყო გასაუბრების მიზნით. შეთანხმების შესაბამისად, იმავე წლის 19 მარტს გ. დ. კრიზისულ ცენტრში კვლავ შეხვდა ადვოკატ მ. ჟ.-ს.

2.9 ადვოკატის განცხადებით კრიზისულ ცენტრში მეორე ვიზიტისას, გ. დ.-ს არ განუცხადებია მისთვის, რომ იურიდიული დახმარება სჭირდებოდა, მით უფრო, რომ გ. დ.-ს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებზე რამდენიმე ადვოკატი უწევდა საადვოკატო მომსახურებას და შესაბამისად, მას ცენტრისგან იურიდიული დახმარება არ დასჭირდებოდა.

2.10 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორმა მას განუცხადა, რომ ვინაიდან, მისი შვილი კრიზისული ცენტრის ფსიქოლოგიური სერვისით სარგებლობდა. შესაბამისად, გ. დ.-ს ბავშვის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება სურდა ცენტრისგან.

2.11 ადვოკატი აგრეთვე განმარტაავს, რომ ვინაიდან, გ. დ.-ს მსხვერპლის სტატუსი ჰქონდა „ამ კუთხით ითხოვა სერვისებშიც ჩართვა და შემდეგ ეთქვა უარი იურიდიულ დახმარებაზე“. ადვოკატის განცხადებით, ვინაიდან, საჩივრის ავტორს ბრალდებულის სტატუსი ჰქონდა, აღნიშნული საფუძვლიდან გამომდინარე ის ვერ ისარგებლებდა კრიზისული ცენტრის სერვისებით, თუმცა მას, როგორც ბავშვის მამას უფლება ჰქონდა კრიზისული ცენტრისგან გაეთხოვა ინფორმაცია ბავშვის მიერ მიღებული ფსიქოლოგიური კონსულტაციების შესახებ.

2.12 ადვოკატის განმარტებით, ის გარემოება, რომ გ. დ. სისხლის სამართლის საქმეზე იყო ბრალდებული, ისედაც ცნობილი იყო მისთვის მისი კლიენტისგან - ე. ხ.-სგან.

2.13 ადვოკატის განცხადებით, მას საჩივრის ავტორისთვის რაიმე სახის იურიდიული კონსულტაცია არ გაუწევია და ინტერესთა კონფლიქტს იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, თუ ის გ. დ.-ს კონსულტაციას გაუწევდა.

2.14 ადვოკატის განცხადებით, ის კრიზისულ ცენტრში ერთადერთი იურისტია, რომელიც უწევს ბენეფიციარებს სამართლებრივ დახმარებას. შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ მან იცნო გ. დ., ვალდებული იყო მოესმინა და მიეღო ინფორმაცია რის თაობაზეც მიმართა მან დახმარებისთვის კრიზისულ ცენტრს.

2.15 ადვოკატი მ. ჟ. განმარტავს, რომ 2019 წლის 02 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში მან წარმოადგინა ე. ხ.-ს ინტერესები გ. დ.-ს წინააღმდეგ - რეპლიკის სტადიაზე. შესაბამისად, უკვე დასრულებული იყო ყველა მტკიცებულების გამოკვლევა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 24 დეკემბერს, მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ მ. ჟ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა მ. ჟ.-მ საადვოკატო მომსახურება გაუწია საჩივრის ავტორის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს და შემდგომ, იმავე საქმეზე, საჩივრის ავტორისგან მიიღო ინფორმაცია მისთვის იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა აპეკ-ის 6.1 მუხლი.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დაადგინა შემდეგი ფაქტები:

4.1.1 2018 წლის 25 ივნისიდან ადვოკატი მ. ჟ., როგორც კრიზისული ცენტრის იურისტიიურიდიულ კონსულტაციას უწევდა საჩივრის ავტორის მოწინააღმდე მხარეს - მის ყოფილ მეუღლეს ე. ხ.-ს, მათ შორის საჩივრის ავტორთან არსებულ საოჯახო დავასთან დაკავშირებით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ 2018 წლის 28 სექტემბერს ე. ხ.-ს, როგორც კრიზისული ცენტრის ბენეფიციარის ინტერესების დაცვის მიზნით გაცემული მინდობილობა.

2018 წლის 28 სექტემბრის ცნობა იმის თაობაზე, რომ ე. ხ. შვილთან ერთად სარგებლობს კრიზისული ცენტრის სერვისებით 2018 წლის 25 ივნისიდან;

2018 წლი 01 ოქტომბრის თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება - დაინტერესებული პირი გ. დ., მოსარჩელე ე. ხ. - წარმოამდგენელი ადვოკატი მ. ჟ., დავის საგანი :შემაკავებელი ორდერის გაუქმება;

2018 წლის 15 ოქტომბრის თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება - საჩივრის ავტორი გ. დ., მოწინააღმდეგე მხარე - შემაკავებელი ორდერის გამომცემი უფლებამოსილი ორგანო, მოწინააღმდეგე მხარე - ე. ხ. - წარმომადგენელი ადვოკატი მ. ჟ.. დავის საგანი: შემაკავებელი ორდერის გაუქმება;

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.1.2 2019 წლის მარტის თვეში ადვოკატი მ. ჟ. ორჯერ გაესაუბრა საჩივრის ავტორს გ. დ.-ს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები;

4.1.3 2019 წლის 02 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოში გამართულ სხდომაზე ადვოკატი მ. ჟ. წარმოადგენდა გ. დ.ს მოწინააღმდეგე მხარის - ე. ხ.-ს ინტერესებს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა ახსნა-განმარტებები.

4.2. სადავო ფაქტები:

საჩივრის ავტორის მითითებით, მან კრიზისულ ცენტრს იურიდიული დახმარების მიღების მიზნით მიმართა და არა მისი შვილის მიერ მიღებული ფსიქოლოგიური სერვისის შესახებ ინფორმაციის გამოთხოვისთვის. საჩივრის ავტორის განცხადებით, მან მ. ჟ.-ს მიაწოდა ინფორმაცია მისი სამართლებრივი პრობლემის (საოჯახო დავის) შესახებ.

4.2.1 ადვოკატმა მ. ჟ.-მ საპროცესო კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე წერილობითი და ზეპირი ფორმით განმარტა, რომ მას ცენტრში ვიზიტისას, გ. დ.-მა განუცხადა, რომ სურდა იურიდიული სერვისის მიღება. ადვოკატმა განხილვის კოლეგიის მიერ საქმის განხილვის ეტაპზე განაცხადა, რომ გ. დ.ს კრიზისულ ცენტრში არ სურდა იურიდიულ დახმარების მიღება, მით უფრო რომ მას რამდენიმე ადვოკატი ჰყავდა როგორც სისხლის ასევე სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

4.2.2 იმ გარემოებას, რომ ადვოკატი მ. ჟ. გ. დ.-ს იურიდიული კონსულტაციის მიღების მიზნით გაესაუბრა, ადასტურებს საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულება - 2019 წლის 19 მარტით დათარიღებული კრიზისული ცენტრის აღრიცხვის ჟურნალიდან ამონაწერი, სადაც ადვოკატ მ. ჟ.ს მიერ მითითებულია გ. დ.ს საკონტაქტო ინფორმაცია, მისი ვინაობა და აღნიშნულია შემდეგი: „მოქალაქემ განაცხადა რომ ყოფილი მეუღლის მიმართ წარმოებს სამოქალაქო დავა ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრის საკითხზე, აქვს ჯგუფის სტატუსი, ბრალდებულია სისხლის სამართლის საქმეზე, საჭიროებს იურიდიულ კონსულტაციას"; ასევე მითითებულია შემდეგი:

„მოქალაქეს განემარტა რომ მას აქვს ბრალდებულის სტატუსი და ის ვერ ისარგებლებს კრიზისული ცენტრის სერვისებით მათ შორის კონსულტაციით, გ. დ. არის ჩემიმარწმუნებლის ყოფილი მეუღლე" - აღნიშნულს ხელმოწერით ადასტურებს გ. დ..

4.2.3 შედეგად, დგინდება, რომ საჩივრის ავტორმა ადვოკატ მ. ჟ.-ს მიმართა იურიდიული კონსულტაციის მიღების მიზნით და მიაწოდა საოჯახო დავასთან დაკავშირებითინფორმაცია.

5 შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და დაადგინა, რომ ადვოკატ მ. ჟ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6 სამართლებრივი შეფასება:

6.2 განხილვის კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატ მ. ჟ.-ს მიერ დარღვეულია ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ეთიკური ვალდებულება:

> ადვოკატი ვალდებულია არ განახორციელოს ისეთი ქმედება და არ დაამყაროს ისეთი ურთიერთობა, რომელიც საფრთხეს შეუქმნის კლიენტის ინტერესებს, ადვოკატის პროფესიულ საქმიანობას ან დამოუკიდებლობას (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 8.1).
>
> ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც კლიენტის ინტერესების შესაბამისად მოქმედების ვალდებულება ეწინააღმდეგება, ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე ამ ადვოკატის ან მასთან დაკავშირებული პირის ინტერესებთან (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, შემდგომში „ეთიკის კოდექსი", მუხლი 6.2(ბ)).
>
> ადვოკატი ვალდებულია დაიცვას პროფესიული საიდუმლოება გასული დროის მიუხედავად (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 7.1(ა)).

კონფიდენციალურია ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ადვოკატმა მიიღო კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.6).

6.3 კოლეგია იზიარებს დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის განმარტებას იმის თაობაზე, რომ პროფესიული ვალდებულებები ვრცელდება იმ ადვოკატებზეც, რომლებიც შრომითი ურთიერთობის ფარგლებში ახორციელებენ საადვოკატო საქმიანობას, როგორც ეს განმარტებულია ადვოკატთა შესახებ კანონის მე-2 მუხლში: „იურისტი, რომელიც არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ექცევა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონისა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის რეგულირების სფეროში.

6.4 ერთ-ერთ რეკომენდაციაში ეთიკის კომისიამ იმსჯელა სამსახურეობრივი უფლებამოსილების განხორციელებისას ადვოკატის პროფესიულ ვალდებულებზე და აღნიშნა, რომ „კოლეგია განიხილავს შეკითხვაში დასახელებული პირის - კომპანიის შიდა იურისტის ქმედებას, როგორც ადვოკატის პროფესიული ეთიკის ნორმებით შეზღუდული პირის ქმედებებს, ვინაიდან, სიტუაციიდან გამომდინარე, განსახილველი საკითხები შეეხება ისეთ ინფორმაციას, რომელიც ადვოკატმა მიიღო კომპანიის იურისტის მოვალეობების განხორციელებისას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 24.02.2017 წლის #002/17 რეკომენდაცია).

6.5 „ადვოკატს ზოგი პროფესიული ვალდებულება, მათ შორის პროფესიული საიდუმლოების დაცვის და შეზღუდული მოცულობით ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულებები წარმოეშვება კონსულტაციის მიღების მსურველ პირთან პირველი გასაუბრების შემდეგაც, თუ პოტენციური კლიენტი საადვოკატო მომსახურების მიღების მიზნით ადვოკატს გაანდობს სადაო საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 29.10.2019 წლის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე #159/18, პარ. 9.4).

6.6 „ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის საფრთხე შესაძლოა არსებობდეს არა მხოლოდ მოქმედ და ყოფილ, არამედ ასევე პოტენციურ კლიენტსა და ადვოკატის სხვა მოქმედ, ყოფილ ან პოტენციურ კლიენტს შორის. იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატისათვის ცნობილი გახდა იურიდიული რჩევის მიღების მსურველი პირის (პოტენციური კლიენტის) კონფიდენციალური ინფორმაცია, თუნდაც მათ შორის არ შედგეს შეთანხმება საადვოკატო მომსახურების გაწევის თაობაზე, ადვოკატს კონფიდენციალური ინფორმაციის მიღების მომენტიდან წარმოეშობა ამ ინფორმაციის დაცვის ეთიკური ვალდებულება. ადვოკატს ინტერესთა კონფლიქტი აქვს, როდესაც არ შეუძლია ერთგულად დაიცვას კლიენტის ინტერესები იმის გამო, რომ სხვა პირთა მიმართ აქვს ვალდებულებები“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 22.03.2019 წლის #001/19 რეკომენდაცია).

6.7 „ინტერესთა კონფლიქტის არსებობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია, ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის წარმოშობის დადგენა. შესაძლებელია, ადვოკატსა და პოტენციურ კლიენტს შორის არ გაფორმდეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მათ შორის ურთიერთობა შეწყდეს პოტენციური კლიენტის მიერ თავისი საქმის თაობაზე ინფორმაციის მიწოდების ან ადვოკატის მიერ სამართლებრივი რჩევის გაცემის ეტაპზე, რა დროსაც ადვოკატი იღებს კონსულტაციის მსურველი პირისგან კონფიდენციალურ ინფორმაციას. აღნიშნული

ეტაპიდანვე, ადვოკატს წარმოეშობა პროფესიული ვალდებულება - დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია და თავიდან აირიდოს ინტერესთა კონფლიქტი“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 05.11.2018 წლის #009/18 რეკომენდაცია).

6.8 ვინაიდან, მ. ჟ., როგორც კრიზისული ცენტრის იურისტი, ახორციელებდა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლში განსაზღვრულ საქმიანობას, მასზე ვრცელდება ადვოკატთა პროფესიული ვალდებულებები. შედეგად, გიგი დავითაშვილთან შეხვედრისას ის მოქმედებდა, როგორც ადვოკატი.

6.9 საქმეში წარმოდგენილი მასალებით და ადვოკატის პოზიციით დასტურდება, რომ გ. დ.ს შესახებ ინფორმაცია ცნობილი იყო ადვოკატ მ. ჟ.-სთვის და კრიზისულ ცენტრში ვიზიტამდე, რამდენჯერმე ჰყავდა ნანახი სასამართლო პროცესებზე, როგორც მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე. შესაბამისად, ადვოკატისათვის ცნობილი იყო, რომ კრიზისულ ცენტრში იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით მისული საჩივრის ავტორი მისი მოქმედი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარე იყო. ასეთ ვითარებაში, ადვოკატის ვალდებულებას წარმოადგენდა არ გასაუბრებოდა მას საქმესთან დაკავშირებით და განემარტა აღნიშნული უარის თქმის საფუძველი - კერძოდ, იმის თაობაზე, რომ ის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატი იყო. ასევე, ადვოკატს უნდა განემარტა, რომ საჩივრის ავტორს იმავე ან დაკავშირებულ საქმეზე ვერ გაესაუბრებოდა, რადგან ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტს.

6.10 კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატის პოზიციას კონფლიქტის თაობაზე საჩივრის ავტორისათვის ინფორმაციის მიუწოდებლობასთან დაკავშირებით, იმ მოტივით, რომ ადვოკატი ვერ მიაწოდებდა პერსონალურ ინფორმაციას მისი კლიენტის შესახებ გ. დ.-ს. ადვოკატს საჩივრის ავტორისათვის არ უნდა მიეწოდებინა მისი კლიენტის პერსონალური ინფორმაცია. ადვოკატს უნდა განემარტა, რომ იურიდიულ მომსახურებას უწევდა მის პროცესუალურ მოწინააღმდეგეს, რის გამოც არსებობდა კონფლიქტი. შესაბამისად, ადვოკატს უნდა განემარტა მასთან, იურიდიული მომსახურების მიღების მიზნით, მისული პოტენციური კლიენტისათვის, რომ ის საჩივრის ავტორს ვერც იურიდიულ მომსახურებას გაუწევდა და ვერც ინფორმაციას მიიღებდა მისგან არსებულ დავასთან დაკავშირებულ. შესაბამისად, ადვოკატი ვალდებული იყო გ. დ.სგან საოჯახო დავის თაობაზე ინფორმაციის მიღებამდე, ინტერესთა კონფლიქტის თაობაზე განეცხადებინა საჩივრის ავტორისათვის.

6.11 ეთიკის კომისია, ასევე, ვერ გაიზიარებს ადვოკატის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ ინტერესთა კონფლიქტი სახეზე მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ ის გ. დ.-ს გაუწევდა კონსულტაციას. კოლეგია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულების დარღვევა არ არის დამოკიდებული იურდიული კონსულტაციის გაცემაზე. ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებამდე, როდესაც იურიდიული რჩევის მიღების მსურველი პირი მიმართავს ადვოკატს და მიაწვდის მას საქმესთან დაკავშირებულ კონფიდენციალურ ინფორმაციას, ადვოკატს წარმოეშობა, როგორც ამ ინფორმაციის კონფიდენციალურად დაცვის, ასევე ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება.

6.12 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მსჯელობას კონფლიქტის არარსებობაზე, იმ მოტივით, რომ სასამართლო სხდომაზე საჩივრის ავტორის წინააღმდეგ წარმომადგენლობა რეპლიკის ეტაპზე განხორციელდა, და მისი მონაწილეობა ამ საქმეში არსებითად არაფერს ცვლიდა. კოლეგია განმარტავს, რომ ინტერესთა კონფლიქტის განსაზღვრისთვის არ აქვს მნიშვნელობა სასამართლო წარმომადგენლობა საჩივრის ავტორის წინააღმდეგ რომელ ეტაპზე განხორციელდა. მოცემულ შემთხვევაში, იმავე საქმესთან დაკავშირებით ადვოკატი მ. ჟ., თავისი კლიენტის და პოტენციური კლიენტის მიმართ არსებული ვალდებულეებბის ფარგლებში არ უნდა გასაუბრებოდა საჩივრის ავტორს, შემდგომ კი არ უნდაგაეგრძელებინა მის წინააღმდეგ წარმომადგენლობა.

6.13 ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის მსჯელობას იმის თაობაზე, რომ გ. დ.-ს მიერ მიწოდებული ინფორმაცია მისი ბრალდების შესახებ არ წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას, რადგან ეს ფაქტი მისი კლიენტისაგან (საჩვრის ავტორის მოწინააღმდეგე მხარისაგან) ისედაც ნობილი იყო ადვოკატისათვის. კომისია განმარტავს, რომ ამ ინფორმაციის შესაძლო ცოდნის ფაქტი, ან ის ფაქტი, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ინფორმაცია მიიღო ადვოკატმა იურიდიული რჩევის მიღების მსურველისაგან, არ ცვლიდა ამ ინფორმაციის ბუნებას. ეს ინფორმაცია წარმოადგენდა კონფიდენციალურ ინფორმაციას.

6.14 შესაბამისად, საჩივრის ავტორისაგან, როგორც იურიდიული რჩევის მიღების მსურველისაგან, არსებულ დავასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღების მომენტიდან, ადვოკატსწარმოეშვა ინტერესთა კონფლიქტი. ადვოკატმა მიუხედავად ამ ინტერესთა კონფლიქტისა,გააგრძელა მისი კლიენტის - ე. ხ.-ს ინტერესების დაცვა, რითაც წინააღმდეგობაში მოვიდა საჩივრის ავტორის მიმართ არსებულ ვალდებულებასთან.

6.15 შედეგად, ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატ მ. ჟ.-ს მიერ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულების დარღვევა.

6.16 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.17 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 22.05.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17).

6.18 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. „განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.19 „ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.20 „ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 31.05.2018 წლის გადაწყვეტილება, საქმე N098/17).

6.21 ეთიკის კომისია ითვალისწინებს ადვოკატის დამოკიდებულებას ჩადენილი ქმედების მიმართ. კერძოდ, ადვოკატ მ. ჟ.ს მოცემულ შემთხვევაში, არ მიაჩნია, რომ მისი ქმედებით ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულება დაირღვა და განმარტავს, რომ აღნიშნულს მხოლოდ იმ შემთხვევაში ექნებოდა ადგილი, თუ საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეუთანხმდებოდა საჩივრის ავტორს და დაიწყებდა მისთვის იურიდიული მომსახურების გაწევას. ადვოკატის შეფასებით, იმავე საქმეზე, იურიდიული კონსულტაციის მიღების მსურველ პირთან გასაუბრება, რომელიც მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარეა - არ წარმოადგენს ეთიკური ვალდებულების დარღვევას. ეთიკის კომისიის შეფასებით, ასეთ ვითარებაში, ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება. თუმცა, ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ ინტერესთა კონფლიქტის თავიდან არიდების ვალდებულეის წესის დარღვევას არ გამოუწვევია საჩივრის ავტორისგან მიღებული კონკრეტული ინფორმაციის გამჟღავნება. შედეგად, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ მოცემული დისციპლინური საქმიდან გამომდინარე საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა ზედმეტად მკაცრი და არაპროპორციული სახდელი შეიძლება იყოს მის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან. ეთიკის კომისია, სახდელის შეფარდებისას ასევე ითვალისწინებს გარემოებას, რომ ადვოკატ მ. ჟ.ს გადაწყვეტილების გამოტანის მომენტისათვის არ აქვს შეფარდებული სხვა დისციპლინური სახდელი.

6.22 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი

სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და გადაწყვიტა, რომ ადვოკატ მ. ჟ.ს ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 7, 8.1, 32.1, 34.1(ა), 35, 35[1], 36, 38.6 მუხლებით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 6.2(ბ) მუხლით; ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.6, 19, 20, 33, 35, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N059/19 დადგინდეს ადვოკატ მ. ჟ.-ს /სიითი№5196/მხრიდან დისციპლინური გადაცდომის ჩადენა.
2. ადვოკატ მარიკა ჟორდანიას /სიითი№5196/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განესაზღვროს გაფრთხილება.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/